

შეთანხმება N320701/01/44-1

(სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ და შპს ოთ-მა ფურნიტურე-ს შორის 2021 წლის 17 მარტს გაფორმებულ N320701/01/44 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ)

CON210000007-00001

ქ. თბილისი,

აპრილი, 2021 წელი.

ერთის მხრივ, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ფუნქციონირების შემსრულებლის გიორგი შალუტაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს ოთ-მა ფურნიტურე (შემდგომში „მიწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის იაგორ ნერგაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის, მხარეთა შორის 2021 წლის 17 მარტს გაფორმებული N320701/01/44 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-12 მუხლის, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ დირექტორის პირველი მოადგილის საკურატოროს (პროექტების მართვის, საქმისწარმოების და ლოჯისტიკის დარგში) 2021 წლის 12 აპრილის N345892 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით შევთანხმდით შემდეგზე:

აღწერილობითი ნაწილი:

2021 წლის 17 მარტს გაფორმებული N320701/01/44 ხელშეკრულების საფუძველზე, შპს ოთ-მა ფურნიტურე ახორციელებს სასკლო მერხებისა და სკამების მიწოდებას, ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1 840 800.00 ლარს.

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ დირექტორის პირველი მოადგილის საკურატოროს (პროექტების მართვის, საქმის წარმოების და ლოჯისტიკის დარგში) 2021 წლის 12 აპრილის N345892 სამსახურებრივი ბარათით ირკვევა, რომ სააგენტოში შემოსულია რიგი წერილები საჯარო სკოლებიდან, რომლებიც ასაბუთებენ მათთვის სააგენტოში შემოსულია რიგი წერილები საჯარო სკოლებიდან, რომლებიც ასაბუთებენ მათთვის მერხებითა და სკამებით უზრუნველყოფის გადაუდებელ საჭიროებას. შესაბამისად, მიზანშეწონილია 2 160 მერხისა და სკამის კომპლექტის დამატება ხელშეკრულების ფარგლებში ერთეულის ღირებულების უცვლელად. რომლის მიწოდების ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 31 აგვისტო.

აღნიშნულის თაობაზე მიმდინარე წლის 05 აპრილს კომპანიას გაეგზავნა N324140 წერილი, რაზეც კომპანიამ განაცხადა თანხმობა (N343628).

2 160 მერხის დამატების შედეგად სააგენტოსა და შპს ოთ-მა ფურნიტურე შორის 2021 წლის 17 მარტს გაფორმებული N320701/01/44 ხელშეკრულების ღირებულება იზრდება 165 672.00 ლარით და ნაცვლად 1 840 800.00 ლარისა შეადგენს 2 006 472.00 ლარს.


კორექტირების შედეგად სახეზეა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები, რაც იწვევს ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილი გარემოებისადმი. აღნიშნულის გამო საჭირო გახდა ფასის გაზრდა 10%-ის ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

1. მხარეთა შორის 2021 წლის 17 მარტს გაფორმებული N320701/01/44 ხელშეკრულების დანართი N2 და დანართი N3 შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
2. მხარეთა შორის 2021 წლის 17 მარტს გაფორმებული N320701/01/44 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება გაიზარდოს 165 672.00 ლარით და ნაცვლად 1 840 800.00 ლარისა, განისაზღვროს 2 006 472.00 ლარით.

3. მიმწოდებელი კომპანია ვალდებულია 2021 წლის 26 აპრილამდე წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია გაზრდილი ღირებულების გათვალისწინებით.
4. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები დარჩეს უცვლელი.
5. შეთანხმება შედგენილია სამი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს ხოლო ორი რჩება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ დირექტორის ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით



გიორგი შაველაძე
(ხელმოწერის ბეჭედი)

შპსო თ-მა ფურნიტურე-ს
დირექტორი
იაგორ ნერგამე

(ხელმოწერა, ბეჭედი)



სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო



MES 9 21 0000345892

12/04/2021

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს დირექტორის ფუნქციათა შემსრულებელს
ბატონ გიორგი შალუტაშვილს

ამავე სააგენტოს პროექტის მენეჯერის
თამარ ნაცვლიშვილის

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო გიორგი,

მიმდინარე წლის 17 მარტს გაფორმდა N3207/01/01/44 ხელშეკრულება კომპანია "ოთ-მა ფურნიტურესთან" საქართველოს მასშტაბით საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მერხებისა და სკამების შეძენის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ სააგენტოში შემოსულია რიგი წერილები საჯარო სკოლებიდან, რომლებიც ასაბუთებენ მათთვის მერხებითა და სკამებით უზრუნველყოფის გადაუდებელ საჭიროებას (იხ. საფუძვლები). შესაბამისად, მიზანშეწონილია 2160 მერხისა და სკამის კომპლექტის დამატება ხელშეკრულების ფარგლებში ერთეულის ღირებულების უცვლელად. მიწოდების ვადა განისაზღვროს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 31 აგვისტოსი.

აღნიშნულის თაობაზე მიმდინარე წლის 05 აპრილს კომპანიას გაეგზავნა N324140 წერილი, რაზეც კომპანიამ განაცხადა თანხმობა(N343628).

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურებს საჭირო ღონისძიებების გატარება ხელშეკრულებაში დანართის შესაბამისად ცვლილების შესატანად.

პატივისცემით,

პროექტის მენეჯერი
ნაცვლიშვილი თამარ

დანართი N2		სასკოლო შედეგები და სკალები			
მიწოდების ვადა	მისამართების რაოდენობა	II დონე	III დონე	IV დონე	ჯამი
2021 წლის 1 მაისამდე	159	5229	6144	6722	18095
2021 წლის 31 აგვისტომდე	34	2428	2434	3203	8065
სულ ჯამი	193	7657	8578	9925	26160

დანართი N3

		ფასების ცხრილი		პრეტენდენტი - შპს ოთმა ფურნიტურე			
შესყიდვის ობიექტის დასახელება	საფუძვური	რაოდენობა	წარმოების ქვესანა	მწარმოებელი	მოდელი (არსებობის შემთხვევაში)	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
სასკოლო მენტი და სკამი	მეორე	7657	საქართველო	შპს ოთმა ფურნიტურე	არ გააჩნია	76.7	587,291.90
	მესამე	8578	საქართველო	შპს ოთმა ფურნიტურე	არ გააჩნია	76.7	657,932.60
	მეოთხე	9925	საქართველო	შპს ოთმა ფურნიტურე	არ გააჩნია	76.7	761,247.50
ჯამური რაოდენობა		26160		ჯამური ღირებულება			2,006,472.00

1.3.1. საბუნდლო წინადადების წარდგენით პრეტენდენტი ეთანხმება წინამდებარე საბუნდლო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ყველა პირობას, მათ შორის საბუნდლო დოკუმენტაციის 1.2. პუნქტითა და მასზე თანდასრულებული დანართებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.